ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ქ. თბილისის ქუჩებსა და მაგისტრალებზე განთავსებული
საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკური საშუალებების
მოვლა-შენახვა-ექსპლუატაციის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

სარჩევი

1.	*ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის*	*2*
2.	*ტექნიკური მოთხოვნები და წარმოსადგენი დოკუმენტაცია*	*3*
3.	*სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი*	*4*
4.	*დანართი №1 (მომსახურების ხარჯთაღრიცხვა და რეკვიზიტები)*	*7*

ქ. თბილისი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.6 იმ შემთხვევაში თუ სატენდერო დოკუმენტაციაში შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების აღწერისას გამოყენებული იქნება სასაქონლო ნიშანი, მოდელი, პატენტი ან მწარმოებელი კომპანია, ასეთ შემთხვევაში აღნიშნული ტერმინები გამოყენებული არის „მსგავსისა“ და „ექვივალენტურის“ მნიშვნელობით და პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს ტექნიკური დოკუმენტაციით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მსგავსი ან ექვივალენტური მახასიათებლების მქონე საქონელი/მომსახურება. ამასთან, ტექნიკურ დავალებაში მოცემული პარამეტრები არის შემსყიდველის მიერ დადგენილი მინიმალური მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული საქონელი.

1.7 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარში.

1.8 <u>იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, ანგარიშფაქტურით (ინვოისით) ან/და სხვა ისეთი დოკუმენტაციით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, დასაბუთებული გადაწყვეტილებით, უარი თქვას ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების მოთხოვნაზე. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებაზე ვრცელდება ამ წესის მე-12 მუხლის მე- 11–მე-14 პუნქტებით განსაზღვრული წესები.</u>

1.9 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სისტემის მოდულის – „კითხვა/პასუხის“ მეშვეობით, ან/და სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7, მე–15 სართული. საკონტაქტო პირი: ქრისტინა გოგაძე ტელ: +99532 237 85 70.

2. ტექნიკური მოთხოვნები და წარმოსადგენი დოკუმენტაცია:
2.1 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება:

2.1.1 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული 25000 საგზაო ნიშნის, 136 საგზაო მოძრაობის მიმართულების წინასწარი მაჩვენებლის, 4000 ცალი მოქნილი უსაფრთხოების ძელების (ბოძკინტი), 90 ცალი უსაფრთხოების სფერული სარკის მოვლა-შენახვა-ექსპლუატაციის მომსახურება.
2.1.2 საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებების გარეცხვა-გასუფთავება უნდა მოხდეს წყლის ჭავლით, ჯაგრისის გამოყენებით. საგზაო ნიშნების დგარების შეღებვა უნდა მოხდეს რუხი ფერის საღებავით.
2.1.3 ბოძკინტების დაზიანებული შუქამრეკლი (არაკალი) ფირის გამოცვლისას აუცილებელია ბოძკინტების დემონტაჟი და შეკეთების შემდეგ დამონტაჟება.
2.1.4 ბოძკინტების დასამონტაჟებლად გამოყენებული უნდა იყოს არანაკლებ 120მმ სიგრძის სპეციალური ჭანჭიკი, რომელიც ჩახრახნილი უნდა იყოს ასფალტის ფენაში გაკეთებულ ხვრელში ჩამონტაჟებულ პოლიეთილენის მილში.
2.1.5 მიმწოდებელმა უნდა დაამონტაჟოს შემსყიდველის მიერ მიწოდებული 1200მმ-ანი უსაფრთხოების სფერული სარკე, ასევე შემსყიდველის მიერ მიწოდებულ 76მმ-იან დგარზე ან არსებულ დგარზე.
2.1.6 ინფორმაცია დაზიანებული საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებების შესახებ მიმწოდებელს მიეწოდება როგორც შემსყიდველის, ისე საპატრულო პოლიციის თანამშრომლების და საგზაო მოძრაობის მონაწილეების მხრიდან.
2.1.7 მიმწოდებელს დაწესებული უნდა ჰქონდეს 24 საათიანი მორიგეობა „ცხელი ხაზის" ტელეფონზე და დაზიანების აღმოფხვრა უნდა დაიწყოს ინფორმაციის მიღებისთანავე.
2.1.8 საპატრულო პოლიციის თანამშრომლების და საგზაო მოძრაობის მონაწილეების მხრიდან მიწოდებული ინფორმაცია, ასევე თავიანთი ინიციატივით აღმოჩენილი დაზიანებები დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მიმწოდებლის მიერ შემსყიდველს.
2.1.9 გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი და რაოდენობა მოცემულია მომსახურების ხარჯთაღრიცხვაში (დანართი №1). მიმწოდებელმა დემონტირებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკური საშუალებები უნდა განათავსოს საკუთარ სასაწყობო მეურნეობაში და ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე სამი დღით ადრე უნდა უზრუნველყოს მათი გადატანა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კუთვნილ სასაწყობო მეურნეობაში (სასაწყობო მეურნეობის მიმსართი მიმწოდებელს ეცნობება წინასწარ).

2.2 მიწოდების ვადა და ადგილი:
2.2.1 მომსახურების გაწევის ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ეტაპობრივად სატენდერო დოკუმენტაციის **2.1** პუნქტის **2.1.6, 2.1.7** და **2.1.8** ქვეპუნქტების შესაბამისად, უფლებამოსილი პირების დავალების საფუძველზე.
2.2.2 მომსახურების გაწევის ადგილი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორია (სატენდერო დოკუმენტაციის **2.1** პუნქტის **2.1.6, 2.1.7** და **2.1.8** ქვეპუნქტების შესაბამისად).

2.3 პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:
2.3.1 მომსახურების ხარჯთაღრიცხვა დანართი №1–ის მიხედვით და რეკვიზიტების მითითებით **(აღნიშნულის წარმოუდგენლობა დაზუსტებას არ დაექვემდებარება და გამოიწვევს პრეტენდეტის დისკვალიფიკაციას).**

ხელშეკრულება *პროექტი*
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენთთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ. თბილისი --------2015 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში _ შემსყიდველი), წარმოდგენილი ---------- სახით და მეორეს მხრივ ---------- (“შემდგომში მიმწოდებელი”), წარმოდგენილი----------სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

2.ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება,
ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია ----------.
2.2 შესყიდვის საშუალება - **ელექტრონული ტენდერი.**
2.3 ელექტრონული ტენდერის განცხადების ნომერი: ----------.
2.4 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ---------- ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით.
2.5 კლასიფიკატორის კოდი ----------
2.6 ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმებიდან ---- მდე/ ჩათვლით.

3. მომსახურების გაწევის პირობები, ვადა და ადგილი

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: ----------.
3.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: ----------.

4. გასაწევი მომსახურების ხარისხი

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
4.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

5.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი.
5.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის თანამშრომლები.**
5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
5.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრა.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
6.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ წინარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტში მითითებული პირები.
6.3 შესყიდვის ობიექტის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
6.4 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
7.2 ანგარიშსწორება მოხდება 2015 წლის თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.
7.3 ხელშეკრულების პირობების პუნქტის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ანაზღაურებამდე შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ანგარიშსწორებაზე. ამ შემთხვევაში ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შესაბამის ანგარიშზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის შემდეგ.
7.4 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა, და გადახდის ვადები)

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

8.3 ნებისმიერი მიზეზით წარმოქმნილი დაზიანების ან გაუმართაობის გამოვლენიდან არაუგვიანეს 24 საათის განმავლობაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ან მიმწოდებლის მიერ შემსყიდველის დავალებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

8.4 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.5 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში.

8.6 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას ხელშეკრულების 7.2 პუნქტის მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში გადაუხადოს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ჩასარიცხი თანხის 0,5 %-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

9.ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებლის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეატყობინოს შემსყიდველს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, ხოლო შემსყიდველმა აცნობოს მიმწოდებელს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და ამოქმედების თარიღი.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორჯერ დარღვევის შემთხვევაში;

ბ)მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების 3 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ფორსმაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორსმაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორსმაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.

10.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე

დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

12.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებეულებების მთლიანი ან ნაწილობრივი უფლება-მოვალეობების გადაცემა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი).

13.ღირებულება

13.1 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების საერთო ღირებულების შეცვლა.

13.2 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების (ერთეულის ფასის) შეცვლა დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

13.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

13.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

14. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

14.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

14.2 ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან/და ფაქსით ურთიერთობისათვის გამოყენებულ იქნება:

ა) მიმწოდებლის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი ---------- საკონტ. პირი ბ/ქ-ნ ----------, ელექტრონული ფოსტა: ----------; ფაქსი (არსებობის შემთხვევაში): ------;

ბ) შემსყიდველის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი: ----------; საკონტ. პირი ბ-ნი ----------.

14.3 ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს.

14.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სასამართლოს მიერ.

15.2 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

15.3 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. სხვა პირობები

16.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

16.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

17. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
---	---

მომსახურების ხარჯთაღრიცხვა

პრეტენდენტის დასახელება ——————————————

№	მომსახურების დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	განზ.	რაოდ.	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	მოძრაობის მიმართულების წინასწარი მაჩვენებლის გაწმენდა-გასუფთავება (დგართან ერთად)	გარეცხვა წყლის ჭავლით და სარეცხი ფხვნილით, გაწმენდა ჯაგრისით	ცალი	100		
2	მოძრაობის მიმართულების წინასწარი მაჩვენებლის შეკეთება	მცირე დაზიანების შეკეთება ადგილზე(შედუღების სამუშაოები, ასოების (ციფრების) გამოცვლა და ა.შ	ცალი	5		
3	დაზიანებული წინასწარი მაჩვენებლის დემონტაჟი და დასაწყობება	დასაწყობება 20 კმ-ის მანძილზე	ცალი	3		
4	საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკური საშუალებების ხილვადობის შემზღუდველი მწვანე ნარგავების გადაბელვა, დამუშავება მსუბუქ პირობებში და ტრანსპორტირება	მწვანე ნარგავების გადაბელვა	ცალი	1000		
5	საგზაო ნიშნის და სფერული სარკის გაწმენდა-გასუფთავება	წყლის ჭავლით გარეცხვა-გასუფთავება	ცალი	10000		
6	საგზაო ნიშნის დგარის შეღებვა	შეღებვა რუხი ფერის საღებავით	ცალი	500		
7	მოძრაობის მიმართულების წინასწარი მაჩვენებლის დგარისა და კონსოლის შეღებვა	შეღებვა რუხი ფერის საღებავით	ცალი	20		
8	საგზაო ნიშნის (დგარის გარეშე) დემონტაჟი და დასაწყობება	დასაწყობება 20 კმ-ის მანძილზე	ცალი	50		
9	საგზაო ნიშნის (დგარის გარეშე) დემონტაჟი და დასაწყობება	საგზაო ნიშნის დამონტაჟება 20 კმ-ის მანძილზე	ცალი	200		
10	დაზიანებული სფერული სარკის დემონტაჟი და დასაწყობება	დასაწყობება 20 კმ-ის მანძილზე	ცალი	5		
11	საგზაო ნიშნის (დგარის გარეშე) ადგილმდებარეობის შეცვლა	დემონტაჟი და ახალ ადგილზე მონტაჟი	ცალი	50		
12	საგზაო ნიშნის (დგართან ერთად) ადგილმდებარეობის შეცვლა	დემონტაჟი და ახალ ადგილზე მონტაჟი	ცალი	100		
13	დაზიანებული საგზაო ნიშნის დგარის შეკეთება-შესწორება (მიწაში ჩაბეტონება)	ადგილზე შეკეთება-შესწორება	ცალი	200		
14	დგარზე შებრუნებული საგზაო ნიშნის შესწორება-დამაგრება	დგარზე ნიშნის შესწორება-დამაგრება	ცალი	200		
15	დასაწყობებული საგზაო ნიშნის (დგარის გარეშე) მონტაჟი	ხმარებაში მყოფი ნიშნის მონტაჟი	ცალი	50		
16	დასაწყობებული (ხმარებაში მყოფი) საგზაო ნიშნის დგარზე ნიშნის მონტაჟი და დგარის მიწაში ჩაბეტონება)	დგარის მიწაში ჩაბეტონება	ცალი	50		
17	დაზიანებული ბოძკინტის დემონტაჟი	ბოძკინტის დემონტაჟი	ცალი	2000		

18	ძველი, მწყობრიდან გამოსული ბოძკინტის შეკეთება (ფირის გამოცვლა) და მონტაჟი	შეკეთება-ფირის გამოცვლა და მონტაჟი	ცალი	1500		
19	ბოძკინტების გარეცხვა-გასუფთავება	ბოძკინტების გარეცხვა წყლის ჭავლით	ცალი	8000		
20	სფერული სარკის არსებულ დგარზე მონტაჟი (1200 მმ დიამეტრის)	დგარზე მონტაჟი	ცალი	5		
21	დგარის (76მმ დიამეტრის) მონტაჟი და მასზე სარკის მონტაჟი	მიწაში ჩაბეტონება	ცალი	3		
					სულ ჯამი:	

მომსახურების გაწევის ვადა: ----------
მომსახურების გაწევის ადგილი: ----------

რეკვიზიტები:
პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:
ხელმძღვანელის თანამდებობა, სახელი და გვარი:
პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:
საიდენტიფიკაციო კოდი:
ელექტრონული მისამართი:
ბანკის დასახელება და კოდი:
ანგარიშსწორების ანგარიში:
მობილური ტელეფონის ნომერი
ქალაქის ტელეფონი:
ელექტრონული ფოსტის მისამართი საკონტაქტო პირების მითითებით:

პრეტენდენტის ხელმოწერა ---------- ბ.ა.